შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47 (9.612)

7-14 დეკემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

კიდევ ერთი გასართობი მოედანი

ამ დღეებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქუჩები კიდევ ორი ახალი საბავშვო გასართობი მოედნით დამშვენდა. დასრულებული სახე მიიღო ახლადაშენებულმა საბავშვო გასართობმა მოედნებმა სოფელ ხორნაბუჯში და ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე, საქართველოს ბანკის გადასწვრივ მშენებარე საბავშვო გასართობმა მოედანმა. ახალი საბავშვო ცენტრები მინი ატრაქციონებით, ასავალ-დასავალი კიბეებით, საქანელებით, აიწონა -დაიწონათი ბევრად უფრო გამრავალფეროვნებული, ლამაზი, მასშტაბური და საინტერესო კონსტრუქციებითაა წარმოდგენილი, ვიდრე რაიონში აქამდე გაკეთებული რომელიმე ცენტრი. ეს ყველაფერი კი, არამარტო ბავშვების გულს ახარებს, ერთდროულად ქალაქის იერსახესაც ალამაზებს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.. მისალმებელია , რომ გასართობი ცენტრები ასე მომრავლდა და ის რაიონის თითქმის ყველა უბანს მოიცავს, ეს იმისთვისაა კარგი, რომ დედებმა თავისთან ახლომდებარე ატრაქციონებზე შეძლონ ოთახის გარემოდან გამოყვანა და თავისი პატარების ხშირი გარეთ გამოსვლით განმუხტვა. ახლა ზამთრის დასაწყისია და ჯერ ვერავის გაუბედავს ბავშვების გასართობ მოედნებზე გამოყვანა, როცა გამოზაფხულდება, გასართობ ცენტრებს ბავშვების ჟრიამული გაავსებს და ამ მოედნების სიკეთესაც მაშინ უფრო მეტი ძალისხმევით შევიგრძნობთ. მხოლოდ ერთი შენიშვნა, კარგი იქნებოდა, თუ მცირეწლოვან ბავშვებზე ზრუნვის შემდგომ უფროსი ასაკის ბავშვებზეც ვიზრუნებთ და გასართობი ცენტრების მსგავსად რაიონში სპორტული მოედნებიც სხვადასხვა უბნებში მომრავლდება. რადგან, რამდენადაც ვხედავთ და ვიცით, ბავშვების, განსაკუთრებით მოზრდილი ასაკის ბიჭების უმეტესობისთვის, სათამაშო მოედნად სატრანსპორტო გზები გამხდარა, რაც ავტოტრანსპორტის სწრაფი მოძრაობის პირობებში საშიშიცაა და გაუმართლებელიც. იქნებ დროა, ვიფიქროთ ერთი-ორი მინი მოედნის გაკეთებაზეც!

ლალი მეხრიშვილი

უნარშეზღუდულთა დღე საქართველოში

მსოფლიო 3 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღეს აღნიშნავს. ამ დღის სიმბოლო იისფერი ბაფთაა, რომელსაც უკვე თბილისშიც შეხვდებით. ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ეს დღე ამ მიმართულებით გაკეთებული თუ დაგეგმილი საქმეების პრეზენტირების საშუალებაა-ხოლმე, არასამთავრობო სექტორისათვის - პრობლემების წინ წამოწევისა და საერთაშორისო დონორების ყურადღების მიპყრობის მცდელობა, თავად შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისათვის კი - დღე, რომელიც ჯერ ვერა და ვერ იქცა მათ დღესასწაულად საქართველოში.

შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მიმართ, ერთი შეხედვით, ყველა სოლიდარულია, ყველა თანხმდება - ამ ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ის სერვისი, რაც ზოგადად ადამიანის განვითარებისათვის არის საჭირო:

"ჩვენი მთავარი სურვილი და ამოცანაა ეს ადამიანები თავს გარიყულად არ გრძნობდნენ, იყვნენ ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრები და ყველა უნდა გავერთიანდეთ, რომ რაიმე ბარიერი არ არსებობდეს ამისათვის"-სამწუხაროდ, ეს დაპირება წლიდან-წლამდე მხოლოდ ცარიელ სიტყვებად რჩება, ან პროგრესად- ფურცელზე.

"რა არის ეს ინტეგრაცია, აი, მაგალითად, ასეთი საერთაშორისო დღე... ლამაზ სიტყვებს გვეტყვიან ვიღაც ბიძიები და მორჩა. გადით გარეთ, ვერსად ვერ შევა ჩვენნაირი ადამიანი - ვერც ტრანსპორტში, ვერც ბანკში, ვერც მაღაზიაში. ყველას ხომ არ ჰყავს ავტომობილი, რომ იაროს..." - ამბობენ უნარშეზღუდული ადამიანები, რომლებიც სოციალურ პრობლემებთან ერთად გარემო-პირობების მოუწესრიგებლობასაც უჩივიან.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში დღემდე არსებულ გამოწვევებზე მიუთითებს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, რომლის სიტყვებით, დღეს ყველაზე საჩქარო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირებაა:

„ეს კონვენცია იქნება დამატებითი მექანიზმი იმისათვის, რომ შშმ პირთა უფლებები დაცული იყოს. ამ კონვენციის რატიფიცირება სასწრაფოდ უნდა მოხდეს".

„ხელისუფლება ვალდებულია, შშმ პირებს შეუქმნას არა არსებობის, არამედ ღირსეულად ცხოვრების პირობები", - განაცხადა 3 დეკემბერს სასტუმრო „რედისონში" გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე და შენიშნა, რომ სწორედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დამოკიდებულებით ჩანს, თუ რა გზას ადგას სახელმწიფო:

„მთავრობამ აქტიურად ითანამშრომლა პარლამენტთან და საქართველოს პარლამენტი სულ მალე მოახდენს შშმ პირების 2006 წლის გაეროს კონვენციის რატიფიცირებას. გარდა ამისა, მთავრობის, შშმ პირების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით მომზადდა და ასევე უახლოეს დღეებში დამტკიცდება შშმ პირების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, სადაც ასევე გათვალისწინებულია კონვენციის პრინციპები და ვალდებულებები - ცნობიერების ამაღლება, ხელმისაწვდომობა და ინდივიდუალური მობილურობა, აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება, განათლება, ჯანდაცვა, აბილიტაცია და რეაბილიტაცია, შრომა და დასაქმება, სოციალური დაცვა და ა.შ.".

ვერც ერთი სოციალური შეღავათი, ვერც ერთი სახისა და ოდენობის დახმარება ვერ გაუჩენს მათ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის განცდას, თუკი საზოგადოება მათ მიმართ ინერტული დარჩება. მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ, ხელისუფლება, საზოგადოების მხარდაჭერით, მივაღწევთ იმას, რომ შშმ პირების ცხოვრება თვისებრივად შეიცვალოს...

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე თქვა, რომ უახლოეს დღეებში საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს შშმ პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკურ რეგლამენტს, რომლის მიზანიც, შშმ პირების გარემო პირობებთან ადაპტაცია და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობაა. თუმცა შშმ პირების უფლებებზე საუბრისას პრემიერმა თავისი წილი პასუხისმგებლობა, ხელისუფლების გარდა, საზოგადოებასაც დააკისრა:

„ვერც ერთი სოციალური შეღავათი, ვერც ერთი სახისა და ოდენობის დახმარება ვერ გაუჩენს მათ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის განცდას, თუკი საზოგადოება მათ მიმართ ინერტული დარჩება. მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ, ხელისუფლება, საზოგადოების მხარდაჭერით, მივაღწევთ იმას, რომ შშმ პირების ცხოვრება თვისებრივად შეიცვალოს და სწორედ ამ სფეროში განხორციელებული ცვლილებები გახდეს ჩვენი სახელმწიფოს ჰუმანურობის მთავარი ნიშანი".

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერ-

(გაგრძელება გვ.5)

შიდსი - პლანეტის განუკურნებელი სენი

გვ. 4

სასწრაფო დახმარების სამსახური სახელმწიფოს დაუბრუნდება

გვ. 2

უნარშეზღუდულთა ხვედრი

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

ირაკლი ალასანია- მომავალი სამიტისთვის ამერიკა იქნება ნატო-ში ჩვენი გაწევრიანების ყველაზე დიდი მხარდამჭერი

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, ის დარწმუნებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი იქნება.

ამის შესახებ ირაკლი ალასანიამ დღეს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პანდუსის გახსნის ცერემონიის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ვიქტორია ნულანდთან დღევანდელ შეხვედრაზე საუბარი შეეხება ამერიკა-საქართველოს თანამშრომლობას, ISAF-ის მისიაში ქარველი ჯარისკაცების სამსახურს და პოსტ ISAF-ის პერიოდის ოპერაციაში მონაწილეობის პერსპექტივას.

"ვისაუბრებთ, როგორი ინსტიტუციური მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს აშშ-ს სამინისტრომ ჩვენს სამინისტროს. ჩვენ გვაქვს დაჭრილი მეომრების პროგრამა და ყველა ამპუტირებულ სამხედროს ჩვენი ხარჯებით ამერიკის შეერთებულ შტატებში დავუმზადებთ პროტეზებს. ISAF-ის პროგრამა მხოლოდ ISAF-ის და საერთაშორისო მისიაში დაჭრილ სამხედროებს არ ეხება, იგი ეტაპობრივად ტერიტორიული მთლიანობისთვის დაჭრილ მეომრებზეც გავრცელდება. დარწმუნებული ვარ, მომავალი სამიტისთვის, ამერიკა იქნება ნატო-ში ჩვენი გაწევრიანების ყველაზე დიდი მხარდამჭერი" - აღნიშნა ალასანიამ.

სასწრაფო დახმარების სამსახური სახელმწიფოს დაუბრუნდება

2014 წლიდან, რეგიონებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების მართვის უფლება კერძო სადაზღვევო კომპანიებს ჩამოერთმევა და სახელმწიფოს გადაეცემა. ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ცვლილების მიზეზად რეგიონებში შექმნილ პრობლემებს ასახელებს.

მინისტრის თქმით, სასწრაფო დახმარების მანქანები გამოძახების ადგილზე ხშირად საერთოდ არ მიდიან, ან - მიდიან, მაგრამ ძალიან დიდი დაგვიანებით. ახალი სამსახურის შექმნის შემდეგ კი, გამოძახებაზე გასვლა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიხედვით მოხდება.

„მთელი წლის განმავლობაში ვახორციელებდით მონიტორინგს, გვქონდა კერძო მმართველებთან მოლაპარაკების არაერთი მცდელობა, რათა თუნდაც მარტივი ტექნიკური საკითხების მოგვარება დაეწყოთ. მათი მხრიდან ერთი ასეთი მცდელობაც კი ვერ დავინახეთ. ამიტომ, გადავწყვიტეთ, სახელმწიფომ შეასრულოს თავისი მოვალეობა - უზრუნველყოს მოქალაქეების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. სადაზღვევო კომპანიების მმართველობაში მყოფი (თბილის გარდა) სასწრაფოები კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნდება. ამ მიზნით სამინისტროში სპეციალური იურიდიული პირი იქმნება, რომელიც სასწრაფოებს მენეჯმენტს გაუწევს. სამომავლოდ დაგეგმილია სასწრაფო სამედიცინო მომსახურებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, გამოძახებაზე გასვლა მოხდება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიხედვით. ასევე, განხორციელდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებისა და მძღოლების გადამზადება",— განაცხადა სერგეენკომ.

სამინისტროს ინფორმაციით, უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რომლის თანახმადაც, რეგიონებში 220 სპეციალური ავტომობილის შესყიდვა მოხდება. სასწრაფო სამედიცინო დახმარება მოსახლეობისთვის უფასო დარჩება და მის დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 62 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს. კერძო სადაზღვევო კომპანიებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების მართვის უფლება 2011 წლის 1 ოქტომბრიდან, ეტაპობრივად გადაეცათ.

გერმანიის კოოპერატივების ფედერაცია ქართულ მხარეს გამოცდილებას გაუზიარებს

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე გერმანიის კოოპერატივების ფედერაციის წარმომდგენლებს არტურ დილმანს და უვე შონეს შეხვდა.

გაცნობითი სახის შეხვედრაზე, გიორგი მიშელაძემ გერმანულ მხარეს კოოპერატივების განვითარების სახელმწიფოს ხედვა გააცნო, ასევე ახლადშექმნილი სააგენტოს ფუნქციებსა და პრინციპებზე დეტალურად ისაუბრა.

აღინიშნა, რომ გერმანიას კოოპერატივების განვითარების 150 წლიანი ისტორია აქვს და მათი გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

შეხვედრაზე გიორგი მიშელაძემ და გერმანიის კოოპერატივების ფედერაციის წარმომდგენლებმა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

კახეთში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 72% - ით გაიზარდა

2013 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კახეთში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 17,3%-დან 89,3%-მდე გაიზრდა. ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 8 492 ერთეულით იკლო, რაც 24,2%-ს შეადგენს, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 41,3% -ით მოიმატა და 59,6% -ია. 2013 წლის დანაშაულის სტატისტიკა შს სამინისტრომ გამოაქვეყნა.

სამინისტროს ცნობით, 2013 წლის 11 თვეში, ქვეყნის მასშტაბით 26 628 დანაშაულის ფაქტი დაფიქსირდა, აქედან 15 876 გაიხსნა, (გახსნის მაჩვენებელი: 59,6%). 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში, მომხდარი 35 120 კრიმინალური ფაქტიდან გახსნილია 6 448 შემთხვევა, (გახსნის მაჩვენებელი: 18,4%) დანაშაულის კლება 8 492-ია (24,2%), გახსნის მაჩვენებლის მატება 41,3%.

სამინისტროს მონაცემებით, 2013 წლის ნოემბერში, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 1 336 ერთეულით იკლო, რაც 34,9%-ს შეადგენს. დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 59,1%-ია და 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 41,9%-ით მოიმატა.

თბილისში, 2013 წლის ნოემბერში მომხდარი 1 251 დანაშაულიდან გაიხსნა 625, (გახსნის მაჩვენებელი: 50%). 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში 1570 დანაშაულებრივი ფაქტი მოხდა, საიდანაც გახსნილია 262, (გახსნის მაჩვენებელი: 16,7%) დანაშაულის კლება 319 შემთხვევაა (20,3%), გახსნის მაჩვენებლის მატება კი 33,3%.

რაც შეეხება რეგიონებს, სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წელს, კახეთში მომხდარი 177 დანაშაულიდან გახსნილია 158, (გახსნის მაჩვენებელი: 89,3%). 2012 წელს მომხდარი 289 დანაშაულიდან გაიხსნა 50 საქმე, (გახსნის მაჩვენებელი: 17,3%) დანაშაულის კლებაა 112 (38,7%), გახსნის მაჩვენებლის მატება — 72%.

შსს-ს ცნობით, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 2013 წლის ნოემბერში 237 კრიმინალური ფაქტი მოხდა, გაიხსნა 204, (გახსნის მაჩვენებელი: 86,1%), 2012 წლის ნოემბერში მომხდარი 562 დანაშაულიდან გახსნილია 105, (გახსნის მაჩვენებელი: 18,7%). დანაშაულის კლებაა 325 შემთხვევა (57,8%), გახსნის მაჩვენებლის მატება - 67,4%.

ქვემო ქართლში, მიმდინარე წლის ნოემბერში მომხდარი 198 კრიმინალური ფაქტიდან გახსნილია 72, (გახსნის მაჩვენებელი: 36,4%) 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში მომხდარი 397 დანაშაულიდან გაიხსნა 49 შემთხვევა, (გახსნის მაჩვენებელი: 12,3%). დანაშაულის კლება - 199 (50,1%), გახსნის მაჩვენებლის მატება - 24%.

სტატისტიკური მონაცემებით, სამეგრელო-ზემო სვანეთში ნოემბერში მოხდა 116 დანაშაული, გაიხსნა 89, (გახსნის მაჩვენებელი: 76,7%), გასული წლის ნოემბერში მომხდარი 287 კრიმინალური შემთხვევიდან კი გახსნილია 68, (გახსნის მაჩვენებელი: 23,7%). დანაშაულის კლება - 171 (59,6%), გახსნის მაჩვენებლის მატება - 53%.

აჭარაში მომხდარი 198 დანაშაულიდან გაიხსნა 131, (გახსნის მაჩვენებელი: 66,2%), გასული წლის ნოემბერში მომხდარი 271 ფაქტიდან კი 7, (გახსნის მაჩვენებელი: 2,6%). დანაშაულის კლება - 73 (26,9%) გახსნის მაჩვენებლის მატება - 63,6%.

შიდა ქართლში მიმდინარე წლის ნოემბერს მომხდარი 116 დანაშაულიდან გაიხსნა 86, (გახსნის მაჩვენებელი: 74,1%), გასული წლის ნოემბერში მომხდარი 173 დანაშაულიდან კი 28, (გახსნის მაჩვენებელი: 16,2%). დანაშაულის კლება - 57 (32,9%), გახსნის მაჩვენებლის მატება - 58%.

მცხეთა-მთიანეთი 2013 წლის ნოემბერში მომხდარი 60 კრიმინალური ფაქტიდან, გახსნილია 49, (გახსნის მაჩვენებელი: 81,7%), გასული წლის ანალოგიურ პერიუოდში მომხდარი 81 ფაქტიდან კი გახსნილია 6, (გახსნის მაჩვენებელი: 7,4%). დანაშაულის კლება - 21 (25,9%), გახსნის მაჩვენებლის მატება - 74,3%.

სამცხე - ჯავახეთში ნოემბერში 78 დანაშაული მოხდა, გაიხსნა 29, (გახსნის მაჩვენებელი: 37,2%). 2012 წლის ნოემბერში მომხდარი 143 ფაქტიდან კი 69, (გახსნის მაჩვენებელი: 48,3%). დანაშაულის კლება - 65 (45,4%), გახსნის მაჩვენებლის კლება - 11,1%.

გურიაში მომხდარი 66 დანაშაულიდან გახსნილია 33, (გახსნის მაჩვენებელი: 50%). 2012 წლის ნოემბერში მომხდარი 60 დანაშაულიდან კი 15, (გახსნის მაჩვენებელი: 25%) დანაშაულის მატება - 6 (10%), გახსნის მაჩვენებლის მატება - 25%.

თვითმმართველობის პროექტში რამდენიმე ნორმა შეიცვალა

თვითმმართველობის კოდექსის პროექტში რამდენიმე ნორმა შეიცვალა. ამის შესახებ ჟურნალისტებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ განუცხადა.

მისივე განმარტებით, პარლამენტის სხდომაზე წარმოდგენილი იქნება კოდექსის უფრო მოდიფიცირებული და დახვეწილი ვარიანტი.

„თვითმმართველობის კოდექსი არსებითი საფრთხეების შემცველი არასდროს ყოფილა, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ბოლო 2 დღის განმავლობაში საქართველოს მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის ინტენსიური კონსულტაციები გაიმართა; რამდენიმე ნორმა გადაიხედა და შეიცვალა. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის სხდომაზე წარმოდგენილი იქნება კოდექსის უფრო მოდიფიცირებული და დახვწილი ვარიანტი, თუმცა კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ საფრთხეები არის არაარსებითი", - განაცხადა ნარმანიამ.

ამასთან, მინისტრის თქმით, კონსულტაციები გაიმართა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზეც, "რაზედაც ბოლო პერიოდში ხშირად ხდება ხაზგასმა'. „ჩვენ გავითვალისწინეთ როგორც შსს-ს რეკომენდაციები, ისე ფინანსთა სამინისტროს შენიშვნები. არასდროს ყოფილა ეს კოდექსი არსებითი საფრთხის შემცველი, მაგრამ შესაბამისი ნორმა კიდევ უფრო შევარბილეთ", - განმარტა მან და იქვე დასძინა, რომ პირადად მას პატრიარქთან შეხვედრა გუშინ არ ჰქონია.

არსებული ინფორმაციით, პატრიარქს ირაკლი ღარიბაშვილი და დავით უსუფაშვილი შეხვდნენ.

დავით სერგეენკო - მთავრობის გეგმა C ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით არ შეცვლილა

მთავრობის გეგმა C ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით არ შეცვლილა, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მთავრობის დღევანდელი სხდომის შემდეგ განაცხადა.

მინისტრის ინფორმაციით, წლის ბოლოდან დაიწყება პატიმრების მკურნალობა, მედიკამენტებზე იგივე ფასი გავრცელდება სამოქალაქო საზოგადოებაზეც, კერძოდ 10 ათას პაციენტზე.

"მედიკამენტები იქნება იმავე ფასით, რა ფასითაც შევიძენთ პატიმრებისთვის და ეს იქნება მინიმუმ ორჯერ ნაკლები ფასი. ეს ჩადებულია მომავალი წლის ბიუჯეტში და შესყიდვას უკვე ვახორციელებთ. იანვარში მედიკამენტები ადგილზე იქნება, იქამდე დასრულდება პატიმრების შემოწმება და მათთვის დანიშნულებების დაწერა. ყველაფერი მიდის გრაფიკის მიხედვით", - განაცხადა სერგეენკომ.

რაც შეეხება მედიკამენტების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერის ჩაშლას, მინისტრმა განმარტა, რომ დარღვეული იყო ტექნიკური პარამეტრები.

"ეს იყო სუფთა ტექნიკური საკითხი და არანაირ კავშირში არ არის პროექტის წარმატებასთან", - აღნიშნა სერგეენკომ.

დამუქებული მინებით მოძრაობის შემთხვევაში მძღოლს მართვის უფლება 6 თვით ჩამოერთმევა

სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელსაც ავტომანქანის მინები შსს-ს საპატრულო დეპარტამენტის თანხმობის გარეშე აქვს დამუქებული, 50 ლარით დაჯარიმდება. იმავე დარღვევის განმეორების შემთხვევაში, ჯარიმა 100 ლარამდე იზრდება, ხოლო წლის განმავლობაში ფაქტის მესამედ დაფიქსირების შემთხვევაში, მძღოლს ექვსი თვის ვადით მართვის უფლება ჩამოერთმევა.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებები პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, განისაზღვრება ავტომობილთა კატეგორია, რომლებისთვისაც დაბურული მინებით გადაადგილება დასაშვები იქნება. ამ ნებართვას პოლიცია ვეღარ გასცემს.

სამინისტროს ინფორმაციით, დამუქებულმინებიან ავტომობილებთან დაკავშირებით, შსს-ს პარლამენტში კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივა აქვს წარდგენილი, რომლის მიხედვითაც, მძღოლებს სატრანსპორტო საშუალების მინების დამუქების გარდა, მანქანებში შუქგამტარობის სხვა ფორმით შეზღუდვაც აეკრძალებათ - მაგალითად, ე.წ. ფარდების გაკეთება.

გაეროს განვითარების პროგრამა და ახალი ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების (ექსტენციის) ცენტრი შქმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით. ექსტენციის ცენტრის ბაზაზე რაიონებში ჩამოყალიბდა ოფისები, სადაც ტარდება ფერმერთა საინფორმაციო- საკონსულტაციო მომსახურება, რაც დახმარებას უწევს ფერმერებს, გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა, მოიყვანონ მეტი და ხარისხიანი მოსავალი და გაზარდონ საკუთარი შემოსავლები. გაზეთი "შირაქი" კაჭრეთის ექსტენციის ცენტრის დედოფლისწყაროს ოფისის კოორდინატორს ირა გაიპარაშვილს ესაუბრა.

-ქალბატონო ირა, რას ითვალისწინებს ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრი?

-დედოფლისწყაროში შექმნილ საინფორმაციო-საკონსულტაციო ოფისში სექტემბრიდან ხდება კონსულტაციების ჩატარება ფერმერებისთვის. ისინი ეცნობიან მეცხოველეობაში და მემინდვრეობაში დანერგილ ახალ, თანამედროვე მეთოდებს.

-მაინც რომელი საკითხებით ინტერესდებიან დედოფლისწყაროელი ფერმერები?

-ფერმერების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საკვებწარმოების საკითხებში და მეცხოველეობაში არსებულმა სიახლეებმა. საკვებწარმოების კონსულტანტმა ფირან ჩხეიძემ, რომელმაც ფერმერებს აჩვენა შავი ქერის მარცვალი, რომელიც უხსოვარი დროიდან ჩვენი ადგილობრივი ჯიში ყოფილა. შავი ქერის მარცვალში ცილის შემცველობა მაღალია და ის საუკეთსო საკვები ყოფილა როგორც ქათმის, ასევე ღორის გამოსაკვებად. აგრეთვე, ბოტანიკის ინსტიტუტში აღმოჩენილია ხორბლის ადგილობრივი ჯიში „ასლი", რომლისგანაც საუკეთესო პური ცხვება. კონსულტანტმა ასევე გააცნო ფერმერებს ძველი ღომის მარცვლის სიკეთე, რომელიც საუკეთესო საკვები ყოფილა, თუ ამ ღომის მარცვლით გამოვკვებავთ წიწილებს, მათ არანაირი დაავადება არ გაუჩნდებათ. სხვადასხვა მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ერთად დათესვა ახალი ტექნოლოგიებით საუკეთესო შედეგს იძლევა, მცენარის საკვების ხარისხი უმჯობესდება და მდიდრდება ცილის შემცველობით. კულტურების ერთად დათესვა მეცხოველეობის საკვებწარმოებაში საუკეთესო მიღწევაა.

-რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ დღეებში თქვენ სამცხე-ჯავახეთში იმყოფებოდით. რა იყო ამ ვიზიტის მიზანი?

-ამ ვიზიტის მიზანი გახლდათ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პრეზენტაცია მეცხოველეობაში. პრეზენტაციის ხელმძღვანელმა პროფესორმა ლევან თორთლაძემ სემინარი ჩაატარა ახალციხეში და მეცხოველეობის განვითარების და სელექციის დანერგვის შესახებ ბევრი ისაუბრა, მოგვიანებით კი მან მოაწყო ახალი ტექნოლოგიით აშენებული საჩვენებელი ფერმის პრეზენტაცია ახალციხეში, რომელიც ბრეზენტით იყო

აგებული. ფერმის კონსტრუქცია რკინისაა, მაგრამ მთლიანად გაკეთებულია ბრეზენტით. როგორც კონსულტანტმა განმარტა, მსხვილფეხა საქონლის ზედმეტად დათბუნება საჭირო არ არის , ძროხა საშუალო ტემპერატურის პირობებში უნდა იმყოფებოდეს. ეს ფერმა 50 სულზეა გათვლილი.

სემინარს ახალციხეში სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებთან ერთად დედოფლისწყაროელებიც დაესწრნენ. დედოფლისწყაროელმა ფერმერებმა კმაყოფილებმა დატოვეს ახალციხე.

ინგა შიოლაშვილი

გრანტები რეგიონული აგრობიზნესის განვითარებისთვის

USAID-ის დაფინანსებით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის ფარგლებში ფერმერებისთვის გრანტების გაცემა იწყება. ამ მიზნით რეგიონებში მცხოვრებ ფერმერებთან შეხვედრების ციკლი მიმდინარეობს.

ამერიკული მხარე ქართველ ფერმერებს სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში 30%-იან თანადაფინანსებას პირდება და ბიზნესის განვითარებაში დახმარებას უსასყიდლოდ სთავაზობს.

დედოფლისწყაროს ფერმერთა სახლში 4 დეკემბერს პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანები ესწრებოდნენ.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო კონკურსში მონაწილე აპლიკანტ ფერმერებს პროექტის მომზადებამდეც და მისი განხორციელების დროსაც უფასო კონსულტაციებსა თუ სხვადასხვა სემინარებს სთავაზობს.

როგორც „აგროინვესტირების" ხელმძღვანელმა ზაალ ხომერიკმა გაზეთ „შირაქს" განუცხადა ერთიდაიმავე კომპანიაზე რამდენიმე საგრანტო დაფინანსება არ გაიცემა და მათი მიზანია პროექტის ფარგლებში დაფინანსება საქართველოს მასშტაბით რაც შეიძლება ბევრმა კომპანიამ მიიღოს.

„ჩვენი საქმიანობა მომავალი 5 წლის განმავლობაში გაგრძელდება და სულ 9 საგრანტო კონკურსი მოეწყობა. პროექტი მიზნად ისახავს რეგიონალური აგრობიზნესების განვითარებას, შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას და ზოგადად ინვესტიციების მოზიდვას. ვაფინანსებთ გარკვეულ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელიც სოფლის მეურნეობის ნებისმიერ საქმიანობას შეეხება. დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ტექნიკურ დახმარებასაც შევთავაზებთ. მთავარია კომერციულად მიზანშეწონილი პროექტები წარმოადგინონ და საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან მივიღებთ განაცხადებს," - აღნიშნავს ზაალ ხომერიკი.

ფერმერთა ნაწილი შემოთავაზებას სკეპტიკურად უყურებდა, ნაწილი კი აცხადებდა, რომ პროექტით დაინტერესდება.

ილია მარტყოფლიშვილი

2014 წლიდან მევენახეების საკადასტრო პროგრამის განხორციელება დაიწყება

ღვინის ეროვნული სააგენტო 2014 წლიდან მევენახეების საკადასტრო პროგრამის განხორციელებას იწყებს. პროგრამა სამწლიანი იქნება. სააგენტოს ხელმძღვანელის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, კადასტრის სისტემა გულისხმობს, ინფორმაციის აღრიცხვას მევენახეთა და მიწის ფართობების, ამ ფართობებზე გაშენებული ვაზის მდგომარეობის, ვაზის ასაკის, მეჩხერიანობის, ჯიშისა და ვენახთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების შესახებ.

ლევან დავითაშვილის თქმით, ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, ყველა მევენახეს გადაეცემა სპეციალური ბარათი, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია, რომელ რაიონში, რა ფართს ფლობს კონკრეტული გლეხი და რა ჯიშის ყურძენი მოჰყავს.

„პირველი, რასაც გავაკეთებთ იქნება ის, რომ მოხდება სავენახე ფართების აღწერა და შეიქმნება იმ პირთა მონაცემთა ბაზა, ვინც ფლობს სავენახე ფართებს. ამის შემდეგ მევენახეებს დაურიგდებათ ბარათები, სადაც დატანილი იქნება ინფორმაცია, რომელ რაიონში, რა სავენახე ფართობს ფლობს ეს პირი, რა ჯიშის ყურძენი მოჰყავს და ა.შ. გარდა ამისა, როცა გლეხი უკვე მივა ყურძნის ჩასაბარებლად, ღვინის კომპანიებს ექნებათ სპეციალური აპარატი, სადაც ბარათზე დატანილ ინფორმაციას შეამოწმებენ. შესაბამისად, ღვინის ქარხანა ძალიან მარტივი პროცედურით გაიგებს, რა ჯიშის ყურძენი მიიტანა მევენახემ მათთან ჩასაბარებლად, სად მოიყვანა ეს ყურძენი და ა.შ", - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.



მისივე თქმით, მევენახეების კადასტრის შექმნის გარდა, ღვინის ეროვნული საგენტო ელექტრონულ აღრიცხვიანობაზე გადასვლასაც იწყებს.

„ღვინის ეროვნული საგენტო გადადის ელექტრონულ აღრიცხვიანობაზე არა მხოლოდ მევენახეების, არამედ ღვინის კუთხითაც. სერტიფიცირებისა და ანგარიშგების პროცესი 2014 წლიდან მთლიანად ელექტრონული ხდება. კომპანიებს ექნებათ პორტალი და ინფორმაციების გაცვლა უკვე ელექტრონულად მოხდება. გარდა ამისა, ვმუშაობთ იმაზეც, რომ ის ინფრასტრუქტურული პირობები, რაც ღვინის სექტორში უნდა იყოს და რასაც ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს, დავაკმაყოფილოთ. ამჟამად ჩვენ „ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში" ცვლილებების პაკეტს ვამზადებთ, რომელსაც პარლამენტში 2014 წლის დასაწყისში შევიტანთ. ამ კანონპროექტში გათვალისწინებული იქნება ბევრი ევრორეგულაცია, კერძოდ ჰარმონიზებული იქნება ღვინის პროდუქტების დეფინიციები, რაც ევრო რეგლამენტებთან შესაბამისობაში მოდის", — განაცხადა დავითაშვილმა.

შიდსი - პლანეტის განუკურნებელი სენი

პირველ დეკემბერს, ტრადიციულად, მსოფლიოში შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღეს ჩვენი ქვეყანაც სხვადასხვა აქციით და ღონისძიებით უერთდება. მონაცემები შიდსით დაავადებულების შესახებ ასეთია:

მსოფლიოში შიდსით 40 მილიონამდე ინფიცირებულია, მათ შორის ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებელი ბავშვებზე მოდის, მათი რიცხვი კი დღითი დღე იზრდება. იქიდან გამომდინარე, რომ შიდსი საკმაოდ მძიმე დაავადებაა, რომელიც საბოლოოდ სიკვდილით სრულდება, ნებისმიერი ადამიანის ინფორმირებულობა ამ დაავადების ირგვლივ საკმაოდ მნიშვნელოვანია.

სწორედ ამიტომ, ბოლო პერიოდში, შიდსთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ არაერთი ტრენინგი და სემინარი ჩატარდა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით. თუ რამდენად იცის საზოგადოებამ აივ ინფექციის შესახებ, რა დაავადებაა იგი, როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან შიდსი და საერთოდ, რა ვიცით მის შესახებ, გაზეთმა „შირაქმა"თითქმის ყველა ასაკის ადამიანთან ჩაატარა გამოკითხვა.

რეზო გონაშვილი, 16 წლის -შიდსი არის იმუნური დეფიციტის სინდრომი, რომელიც ვითარდება აივ ინფექციის ფონზე. თუ არ ვცდები, შიდსი ადამიანთან ურთიერთობით არ გადადის. იგი სისხლით არის გადამდები და არა ხელის ჩამორთმევით და კოცნით. პირადად ჩემს სამეგობროში არ არის არავინ , რომელიც დაინფიცირებულია ან მატარებელია, თუმცა, ვიცი ის, რომ თუ დროული კვლევა ჩატარდა, შიდსი განკურნებადია. თუმცა, აქვე ისიცაა ცნობილი, რომ მკურნალობა ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და სახელმწიფო წელიწადში მხოლოდ ხუთ პაციენტს აფინანსებს ამ დაავადებისგან თავის დასაღწევად, მგონი სწორად მახსოვს...

მანჩო კოპბიძე, 19 წლის,-შიდსი ვლინდება სისხლის საერთო ანალიზის პასუხებიდან, იწვევს სისხლში ცვლილებას, ამძიმებს სუნთქვას. ის გადამდებია. არსებობს ორი ტიპის დაავადებული ადამიანი: მატარებელი(თანდაყოლილი) და შეძენილი. მატარებელი ადამიანი გამოკლევაზე დადის 3 თვეში ერთხელ და მკურნალობს. გადადების გზებია-პედიკურ-მანიკური, სტომატოლოგიური ჩარევა, ასევე, თუ მძიმე ფორმაა, ნერწყვითაც კი. დაავადებულისთვის იმის მითითება, რომ ის ავად არის, არ მიმაჩნია სწორად, რადგან ასეთ შემთხვევაში პაციენტი მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ვარდება, რაც შეეხება იმას,რომ საერთოდ არ ვუთხრათ, ასეც არ შეიძლება, რადგან პაციენტს აქვს უფლება, იცოდეს თავისი დაავადებისა და მისი სიმძიმის შესახებ. ჩემი აზრით, ეს არის პრობლემა, რომლის დაძლევაში წვლილი უნდა შევიტანოთ! "კოცნით სიყვარული გადადის, შიდსი - არა!"

მაია ეგაძე, 38 წლის,-აივ ინფექციას უწოდებენ შიდსს აივ ვირუსისგან თავდაცვის მიზნით პირველ რიგში პროფილაკტიკაა საჭირო, ჩემი შეხედულება ამ საკითხისადმი ასეთია, მიმაჩნია, რომ ბავშვებში ადრეული ასაკიდან ამ ვირუსთან დაკავშირებით განათლების ჩადებაა აუცილებელი. ჯერ ბაღის ასაკიდან გასართობ დონეზე და მერე სასკოლო თემატიკაშიც რომ იყოს შესული ჯანმრთელობის გაკვეთილების სახით. ეს მოგვცემს საშუალებას, ადრეული ასაკიდან იცოდნენ და თავი აარიდონ ამ მძიმე და უკურნებელ სენს.

ლიკა მარღანია, 41 წლის - აივ ინფექციის შესახებ ვიცი ის, რაც ალბათ ყველამ იცის, რომ გადადის მხოლოდ ინტიმური გზით და სისხლით, ადრეულ სტადიაზე შესაძლებელია მკურნალობა და გავრცელების პრევენცია.აივ ინფიცირებულთან უნდა გვქონდეს ჩვეულებრივი დამოკიდებულება და არ მოვექცეთ განსაკუთრებულად, არ შევუქმნათ დისკომფორტი და უხერხულობა, უნდა იგრძნონ თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. მე ვფიქრობ, რომ აუცილებელია საზოგადოების, განსაკუთრებით მოზარდების განათლება ამ დაავადების პრევენციის მიზნით. ცნობიერების ამაღლება და თანაარსებობის აუცილებლობა. ზოგი ადამიანი უბრალოდ მატარებელია, ზოგი კი ინფიცირებული. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმირებას ნებისმიერი საშუალებით.

მკითხველს და საზოგადოებას კი შევახსენებთ, რომ შიდსი არის შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი, რომელიც მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 206 ქვეყანაშია. ოფიციალური მონაცემებით, სადღეისოდ მსოფლიოში შიდსის ვირუსით ინფიცირებულია 40 მილიონამდე ადამიანი, მათგან 80% სქესობრივი გზით დაავადდა.

როგორ გამოაშკარავდება შიდსი?

- ***არამოტივირებული ცხელება;***
- ***ძლიერი საერთო სისუსტე;***
- ***წონაში კლება სხეულის მასის 10%-ით და მეტად;***
- ***ოფლიანობა;***
- ***ლიმფური კვანძების გადიდება;***
- ***ფაღარათი;***
- ***სხვადასხვა სახის გამონაყარი კანსა და ლორწოვან გარსებზე;***
- ***თეთრი ფერის ნადები ენაზე;***
- ***გახანგრძლივებული ფილტვების ანთება, რომელიც ცუდად ექვემდებარება ჩვეულებრივ ანტიბაქტერიულ თერაპიას;***
- ***ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის დაზიანება (დემენცია, მენინგიტი, ენცეფალიტი, მიელოპათია, პერიფერიული ნეიროპათია) და სხვა.***

დაავადების კლინიკური მიმდინარეობა

ვირუსის ორგანიზმში შეჭრიდან ასიმპტომური პერიოდი 2-3 კვირა

მწვავე რეტროვირუსული სინდრომი 2-3 კვირა

კლინიკური გაუმჯობესება და სეროკონვერსია 2-4 კვირა

ასიმპტომური ქრონიკული აივ ინფექცია საშუალოდ 8 წელი

სიმპტომური აივ ინფექცია/შიდსი საშუალოდ 1,3 წელი

შიდსი არ არის განკურნებადი დაავადება. თუ ის დროულად იქნა მიკვლეული და დროული მკურნალობა დაინიშნა, შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება.

დადგენილია,რომ შიდსი ორსული დედიდან შვილზეც გადადის, ამას პერინატალური გადაცემა ეწოდება. აივ-ით ინფიცირებული ან შიდსით დაავადებული დედიდან ახალშობილი ინფიცირდება. ბავშვი შეიძლება დაინფიცირდეს დედის ორსულობის პერიოდში, მშობიარობის დროს და ძუძუთი კვებისას, რადგან დედის რძეც შეიცავს ვირუსს. ამ დროს მასპინძელი ორგანიზმის ანუ ბავშვის ინფიცირების რისკი სხვადასხვაა, როგორც ვირუსთან, ასევე დედისა და ახალშობილის ორგანიზმთან დაკავშირებული ფაქტორების მიხედვით არის 20-28%.2008 წლის მონაცემებით შვეიცარიაში არცერთი ახალი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, მთელ ევროპაში კი პერინატალური გადაცემის რიცხვი ნულს უახლოვდება.

მთელ მსოფლიოში რეგისტრირებული შემთხვევები ინფექციის გადაცემის გზის მიხედვით ამგვარადაა გადანაწილებული:

64% — ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები;

28,6% — ჰეტეროსექსუალური კონტაქტები (ხშირი, დაუცველი კონტაქტები). მართალია, კომერციულ სექს-მუშაკებს შეგნებული აქვთ აივ-ინფიცირების საშიშროება, მაგრამ მაინც რისკის ჯგუფს მიეკუთნებიან;

3,4% — ჰომო და ბისექსუალური კონტაქტები, თუმცა ჩვენს ქვეყანაში გადაცემის ამგვარი გზა ნაკლებაქტიურია;

1,2% — ვერტიკალური გადაცემა — ინფიცირებული დედისგან ნაყოფზე ორსულობისა და ძუძუს წოვების დროს;

1,6% — გადაცემის გზა უცნობია;

1,2% — სისხლის რეციპიენტი.

გარდა ამისა, რისკის ჯგუფში შედიან ის ქრონიკული ავადმყოფები, რომლებსაც ხშირად უწევთ სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება.

შეგახსენებთ, რომ ვირუსი არ გადადის:

1 კოცნით. ნერწყვში ვირუსი იმდენად მცირე კონცენტრაციითაა, რომ კოცნით ინფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამბორი საშიშია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნერწყვს დიდი ოდენობით სისხლი მოჰყვება ან პირის ღრუს ლორწოვანი გარსი დაზიანებულია და მასში ვირუსი იოლად აღწევს. ეს ეხება ოფლსა და შარდსაც. სხვა ფიზიოლოგიურ სითხეებში (სპერმაში, რძეში, მით უმეტეს — სისხლსა და თავზურგტვინის სითხეში) ვირუსები ძალზე მაღალი კონცენტრაციითაა და ინფიცირების თვალსაზრისით საშიშია;

2 მწერების ნაკბენით. თავდაპირველად, როდესაც ვირუსი ის-ის იყო აღმოაჩინეს, მართლაც გამოითქვა მოსაზრება, რომ მისი გადამტანი შეიძლებოდა "უწყინარი" კოღოები, ტკიპები და სხვა სისხლისმწოველი არსებანი ყოფილიყვნენ. სპეციალისტები მალევე მიხვდნენ, რომ მწერები არაფერ შუაში არიან, რადგანაც კბენისას ისინი ადამიანის ორგანიზმში ნერწყვს უშვებენ და არა სისხლს. ისინი ამ უკანასკნელს, პირიქით, თქვენი ორგანიზმიდან ამოწოვენ. წარმოიდგინეთ, რაოდენ სავალალო მდგომარეობა იქნებოდა მთელ მსოფლიოში, მწერებს შიდსი რომ გადაჰქონდეთ — ეს პაწაწინა არსებები სულ რამდენიმე წელიწადში გაავლებდნენ მუსრს კაცობრიობას;

3.-სტომატოლოგიური მანიპულაციების დროს, მანიკიურ-პედიკურით, თმის შეჭრითა და გაპარსვით;

4.-ანალიზების ჩაბარების დროს;

5- აუზზე, აბანოსა და საუნაში;

6- ხელის ჩამორთმევით;

7- პირადი ჰიგიენის ნივთებით (მაგალითად, პირსახოცით, ჭურჭლით) და ტანსაცმლით;

8-დონორობისას. ასე რომ, თამამად შეგიძლიათ, სხვას სისხლი გადაუსხათ, მათ შორის - შიდსით დაავადებულსაც კი.

თუმცა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და გირჩევთ, რომ გაფრთხილდეთ:

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, აივ-ინფექციისგან დამცავი ვაქცინა ჯერჯერობით არ აღმოუჩენიათ, ამიტომ, გადავურჩებით თუ არა ვირუსს, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

იმუნოდეფიციტის ვირუსისგან თავი რომ დაიცვათ:

. უთუოდ იმკურნალეთ, თუკი სქესობრივი გზით გადამდები რომელიმე დაავადება გაწუხებთ. ვენერიული დაავადება ხომ აივ-ინფიცირების რისკს ერთიორად ზრდის.

. ნურასოდეს გამოიყენებთ სხვის ნემსს, სამართებელსა თუ ჯაგრისს. მართალია, ამ ორი უკანასკნელის მეშვეობით დაინფიცირების ალბათობა ძალზე დაბალია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

. თუკი სისხლთან შეხება მოგიწევთ, სასურველია, რეზინის ხელთათმანებით იმოქმედოთ. თუ ხელები მაინც დაგესვარათ, საპნით გულდასმით დაიბანეთ.

. სამედიცინო (მაგალითად, სტომატოლოგიური) მანიპულაციის ან კოსმეტოლოგთან ვიზიტისას დარწმუნდით, რომ ყველა ინსტრუმენტი სათანადო წესით არის გასტერილებული.

. და, რაც მთავარია: სქესობრივი კავშირის, მით უფრო — შემთხვევითი კონტაქტის დროს უთუოდ გამოიყენეთ ბარიერული დაცვის საშუალება (პრეზერვატივი).

და ბოლოს, შიდსი ვერაგი დაავადებაა, არაერთი წელია, ეს ვირუსი ჩვენს პლანეტას უტევს და ვინც გაეკარება, ყველას მუსრს ავლებს, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე (დაავადება) მხილებულია, მისი გამანადგურებელი მედიკამენტი კი, მსოფლიო მედიკოსებმა ჯერ კიდევ ვერ შეიმუშავეს. მეტიც, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი სულ უფრო მეტ მსხვერპლს ესხმის თავს — უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოში 40 მილიონამდე ინფიცირებულია. მათ შორის ძალიან ბევრი მოზარდია.

გაფრთხილდით,

დაიცავით თავი და მიიღეთ მეტი ინფორმაცია ამ სენის თავიდან არიდების მიზნით!

ლალი მეხრიშვილი

უნარშეზღუდულთა ხვედრი

„ჩვენი ყოფის მიუხედავად, გაზრდილი ქულები მოგვდის“...

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში მცხოვრები 74 წლის მაია ნათელაძე უნარშეზღუდულია. მათი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი იმდენად ძველი და შუაზე გადახსნილია, ეზოში შესვლისთანავე მიკვირს, როგორ ახერხებენ აქ ცხოვრებას. თუმცა, ნათელაძეების მეზობლებისგან ვიგებ, რომ სხვა გამოსავალი არ აქვთ. არადა, აქ ცხოვრება, მართლაც, საფრთხის შემცველია. ბზარები იმხელაა, ფრინველი გაფრენას შეძლებს. იმის გამო, რომ კედლები გადახსნილია, ნათელაძეები შენობის აღმოსავლეთით მდებარე ოთახებს საცხოვრებლად აღარ იყენებენ და ერთ ოთახში შეყუჟულან. ყველა ოთახი დაბზარულია, მაგრამ აღმოსავლეთის მხარეს გაცილებით რთული ვითარებაა.

მათი პრობლემების გაცნობისას აღმოჩნდა, რომ ასეთი პიროობების მიუხედავად, ოჯახს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სტატუსი არ აქვს და საარსებო შემწეობა სახელმწიფოსგან არასოდეს მიუღია.

ოჯახის უფროსი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, რამაც მათი ყოფა კიდევ უფრო გააუარესა. ოჯახში დარჩენილი ორივე წევრი კი ინვალიდობის ჯგუფს ატარებს. პირველ სართულზე ცხოვრება შეუძლებელია, ამიტომ ასაკოვანი დედა და უნარშეზღუდული შვილი მეორე სართულზე ბინადრობენ. სახლს ერთი მორყეული ხის კიბე აქვს, რომელიც უსახსრობის გამო გადახურული არ არის და მზეწვიმას ისე დაულპია, ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაინგრას. კედლების დაბზარვის შემდეგ სახურავზე გადახურული ძველი კრამიტიც დაზიანდა და ნალექის დროს ოთახებში წყალი ჩადის.

ოჯახის დიასახლისს მარჯვენა ხელი ბავშვობიდან პარალიზებული აქვს, რის გამოც საოჯახო საქმეების კეთებაც მისთვის საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ოჯახს უკაცობა უკვე დაეტყო, ბევრი რამ საჭიროებს ხელის შევლებას, რომელთა გამაგრებასაც ოჯახის უნარშეზღუდული წევრები დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ, არც მუშის დაქირავების შესაძლებლობა აქვთ. ეზოში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ კარ-მიდამოს მამაკაცის ხელი მოჰკლებია.

მაია ნათელაძე: „ჩვენ აქ არ ვცხოვრობდით, როცა სოფელში ეს სახლი შევიძინეთ, მაშინ კარგ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ საძირკველი არ უვარგოდა და კედლებს ბზარები გაუჩნდა. 90-იან წლებში მიწისძვრის შედეგად ბზარები უფრო გაიზარდა და მას მერე ვითარება დღითიდღე უარესდება. უკვე 40 წელია, აქ ვცხოვრობთ.

– ვინმემ შეამოწმა თქვენი ოჯახის ვითარება?

– კომისია 12-ჯერ მაინც იყო მოსული. არ ვიცი, რას წერენ. მოდიან, ფურცლებს ავსებენ, ისევ მიდიან და ამ დრომდე არავინ დაგვხმარებია. არ ვიცი, ისეთს რას წერენ, რომ დახმარება ვერასოდეს ვერ დაგვენიშნა. უკვე იმედიც აღარ მაქვს. სოციალური მომსახურების სააგენტო იმდენად თავხედურად მოქმედებს, რომ ქულების მოწმობასაც არავინ გვაძლევს და არ გვაჩვენებენ, რამდენი ქულა მივიღეთ და რატომ არ გვენიშნება საარსებო შემწეობა.

– რატომ ვერ მოხვდით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა ერთიან ბაზაში, შინაური ფრინველი, ან პირუტყვი გყავთ?

– არა, პირუტყვი არ გვყავს, მხოლოდ რამდენიმე ქათამია ჩვენი ქონება. წლების მანძილზე ვითხოვთ დახმარებას, მაგრამ ვერცერთხელ ვერ ვისარგებლეთ, მუდმივად გაზრდილი ქულები მოგვდის, მაგრამ თქვენც კარგად ხედავთ რა ვითარებაში ვცხოვრობთ და რა გაგვაჩნია“.

იმის გამო, რომ დედა-შვილი უნარშეზღუდულები არიან, ფიზიკური სამუშაოების შესრულებას და მოსამსახურედ დასაქმებას ვერ ახერხებენ, ამიტომაც მათი შემოსავლის წყაროს მხოლოდ პენსია შეადგენს. პენსია კი საკვების მოსამარაგებლადაც არ ჰყოფნით, რის გამოც საცხოვრებელი შენობის გამაგრების პერსპექტივა არ ჩანს და უსაფრთხო ცხოვრება მათთვის კვლავაც აუხდენელ ოცნებად რჩება.

გაზეთი „შირაქი“ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა ერთიან ბაზაში ნათელაძეების არყოფნის მიზეზებით დაინტერესდა და დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ეწვია. თავის მხრივ, სოციალურ სააგენტოში აცხადებენ, რომ ოჯახმა სააგენტოს დახმარების თხოვნით მხოლოდ ერთხელ მიმართა. თუმცა, ამჯერად, რადგან ვადები გასულია, ნათელაძეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს სააგენტოს მიმართონ და ხელახლა გადამოწმება მოითხოვონ. სააგენტოს ადგილობრივი ხელმძღვანელი ზურაბ ზურაშვილი ადასტურებს, რომ ნათელაძეები ღატაკ ოჯახად შეფასებულნი არიან, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, ეს შეფასება მათზე არაფრით ასახულა.

მაკა ფიროსმანაშვილი (სოციალური სააგენტო): „ნამდვილად ღატაკ ოჯახადაა შეფასებული, 2006 წელს ოჯახის წევრებს ცალცალკე ჰქონდათ განაცხადი შემოტანილი, დედამ ცალკე მოგვმართა, შვილმა ცალკე. ამის გამო მოხდა მონაცემების დუბლირება, რის შემდეგაც მონაცემები გაუქმდა, მეტჯერ ჩვენთვის არ მოუმართავთ. ბოლოს ნათელაძეები შემოწმდნენ 2012 წლის აგვისტოში, ამავე დროს მიიღეს 72 540 სარეიტინგო ქულა. მოგეხსენებათ, ბოლო შემოწმებიდან 1 წელი გასულია და თავისუფლად შეუძლიათ ხელახლა მოგვმართონ და გადამოწმდებიან. ამ ოჯახს არასოდეს არ უსარგებლია სოციალური შემწეობით.

ხელმოკლე ოჯახს ზამთრისთვის შეშა მეზობლებმა მოუმარაგეს. როგორც ნათელაძეების მეზობელი ოლეგ ნადირაშვილი აცხადებს, უბანი ოჯახის მიმართ მუდმივ მზრუნველობას იჩენს.

ილია მარტყოფლიშვილი

უნარშეზღუდულთა დღე საქართველოში

(პირველი გვერდიდან)

თაშორისო დღესთან დაკავშირებით პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიმართვაც გავრცელდა, რომელიც „რედისონში“ გამართულ შეხვედრაზე ხმამაღლა წაიკითხეს და რომელშიც წერია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი იქნება საზოგადოების ამ ჯგუფის უფლებათა დამცველი და მალე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მარგველაშვილის პირადი მრჩეველი მიზანმიმართულად იმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემატიკაზე:

“ამ ადამიანთა მდგომარეობა ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს სახელმწიფოს სახეს, საზოგადოების კულტურასა და ღირსებას. ბუნების კანონია, რომ თუ ადამიანს რაიმე უნარი ეზღუდება, სანაცვლოდ უეჭველად ებოძება სხვა ნიჭი. ყველა ადამიანშია პოტენციალი, რომელიც მას ღირსეული ცხოვრების, საზოგადოების კეთილდღეობისათვის შრომის საშუალებას აძლევს. საჭიროა ყველა ჩვენგანის - ხელისუფლების, საზოგადოების, თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კოორდინირებული მუშაობა, რათა ყველა პირობა შევქმნათ ამ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენისა და განვითარებისთვის.

მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ვიქნები საზოგადოების ამ ჯგუფის უფლებათა დამცველი. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მალე დაიკავებს ადგილს ჩემი პირადი მრჩეველი, რომელიც მიზანმიმართულად იმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემატიკაზე. ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და ბედნიერებას ვუსურვებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჩვენს თანამემამულეებს”, - ვკითხულობთ პრეზიდენტის მიმართვაში.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, უახლოეს დღეებში საზოგადოებას შშმ პირთა საბჭოსა და რამდენიმე სამინისტროს მიერ ერთობლივად მომზადებული სტრატეგიაც წარედგინება. ამ სტრატეგიის მთავარი იდეა არის არა შეღავათების დაწესება შშმ პირებისათვის, არამედ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც თანაბარ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. და კიდევ, სერგეენკოს თქმით, ეს პრობლემა არ მიეკუთვნება ერთჯერადად გადასაჭრელ საკითხებს.

შშმ პირთა შორის არიან სამშვიდობო ოპერაციების დროს დაშავებული ჯარისკაცებიც, რომელთაც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და დაჰპირდა, რომ არც ერთი დაჭრილი ჯარისკაცი არ დარჩება უყურადღებოდ:

„თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა დაჭრილი მეომრების პროგრამა, რომელიც უკვე ამოქმედდა და არც ერთი დაჭრილი, შშმ ჩვენი მეომარი - არა მხოლოდ მოქმედი სამხედრო, არამედ ვეტერანიც - ამ პროგრამის მიღმა არ დარჩება“.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ახალგაზრდა დედოფლისწყაროელი ინტელექტუალები

დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების მოსწავლეები ინტელექტის ამაღლებას დიდ ყურადღებას აქცევენ და ამ თვალსაზრისით საკმაოდ აქტიურობენ. მათ ამაში ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც შექმნილია ინტელექტკლუბი „რა, სად, როდის?“.

დედოფლისწყაროში ეტაპობრივად ტარდება ინტელექტუალური კონკურსები, სადაც ცოდნის დონის ამაღლებასთან ერთად ბავშვები ახალ მეგობრებსაც იძენენ.

22 ნოემბერს ქედების ზონაში ჩატარდა ინტელექტუალთა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქვემო ქედის გუნდი „vVv“, ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის გუნდი „დილიელისემი“, სამთაწყაროს „ფესვები“, არხილოსკალოს „ინტელექტი“ და ზემო ქედის „უნივერსალი“. პირველი ადგილის მფლობელი გახდა ქვემო ქედის გუნდი, კონკურსზე განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა სამთაწყაროს გუნდი, საუკეთესო ინტელექტუალის ტიტული კი არხილოსკალოელმა თამთა თინაშვილმა მოიპოვა.

29 ნოემბერს ჩატარდა კონკურსის: რა, სად, როდის? მეორე ტური. ამ კონკურსში გამარჯვებული გუნდი გახდა გამარჯვების საჯარო სკოლის გუნდი „გამარჯვება“, მეორე ადგილზე გავიდა არბოშიკის საჯარო სკოლის გუნდი “ნიკე”,ხოლო მესამე ადგილზე ოზაანის საჯარო სკოლის გუნდი „ვარსკვლავები“.

* * *

5 დეკემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მორიგი ინტელექტულური ტური გაიმართა. ერთმანეთს დედოფლისწყაროს N1 და N2 საჯარო, ხორნაბუჯის და სამრეკლოს სკოლები ხვდებოდნენ. კონკურსი ზონალური ხასიათისაა, ის უკვე ჩატარდა დეოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში.

ამჯერად ტურში მონაწილე ბავშვები მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები იყვნენ, თითოეული ჯგუფი 6 მოსწავლისგან შედგებოდა,მათ ძირითად ნაწილს კი ვაჟები წარმოადგენდნენ. ღონისძიების წამყვანმა - პედაგოგმა თამარ ლაპიაშვილმა დასაწყისშივე ამცნო აუდიტორიას,რომ ტური სამ ეტაპად გაიმართებოდა და სულ 20 კითხვა დაისმებოდა,შემდეგ კი ჩატარდებოდა ინდივიდუალური გამოკითხვა, სადაც თითოეული გუნდიდან ერთი მოსწავლე მიიღებდა მონაწილეობას, ხოლო მათ მიერ მოპოვებული ქულები არ აისახებოდა საერთო შედეგზე. აირჩიეს ჟიურიც შემდეგი შემადგენლობით: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ირმა ბენაშვილი და პედაგოგი ლია ნატროშვილი, სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე ირმა იაკობიშვილი.

დაინიშნა დრო, დაიწყო შეჯიბრი...დარბაზში სასიამოვნო დაძაბულობა იგრძნობოდა, მოსწავლეები ძალიან ღელავდნენ და განიცდიდნენ, რომ სწორი პასუხები დროულად მიეტანათ ჟიურიმდე, რომელიც სრულიად ობიექტური იყო.

თვალწინ 1985-90 წლების N1 სკოლის სხვადასხვა დროს ჩატარებული „კავეენები“ წარმომიდგა. მართალია, მაშინდელი მოსწავლეები გაცილებით მეტად მეგობრობდნენ წიგნთან, მაგრამ ახალი თაობაც უკვე გამოსულა „კომპიუტერული ეიფორიიდან“ და დაუწყვია წიგნთან მეგობრობა, ეს აშკარად იგრძნობოდა ბავშვების აქტიურობიდან.

სამივე ტურის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე N1 საჯარო სკოლა გავიდა,მეორე ადგილის მფლობელი გახდა სოფელ სამრეკლოს სკოლა,ხოლო მესამე ადგილი აიღო N2 საჯარო სკოლამ. ამის შემდეგ გაიმართა ინდივიდუალური შეჯიბრება, სადაც განსაკუთრებული აქტიურობით სამრეკლოს სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ნიკა ძმანაშვილი გამოირჩეოდა, მან ყველა კითხვას სწორად უპასუხა და ტურის „ყველაზე ჭკვიანის“ ტიტულის მფლობელი გახდა,“ჟიურის სიმპატიის“სიგელები კი N1, N2, და ხორნაბუჯის სკოლის გუნდის კაპიტნებმა მოიპოვეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და გულშემატკივრობდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი,სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი, სკოლის დირექტორები, პედაგოგები და სხვა მოწვეული სტუმრები.

როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა გვაუწყა, უკვე დაგეგმილია ფინალური შეხვედრა გამარჯვებულ გუნდებს შორის და სულ მალე კიდევ მოგვეცემა საშუალება, ამ ინტელექტუალური და სიამოვნების მიმნიჭებელი ღონისძიების ხილვისა.

ელზა ხარაშვილი

სპორტი

სულ ახლახანს საქართველოში ფეხი მოიკიდა სპორტის ახალმა სახეობამ საიოკანას „Sayokan“ სახეობამ. საიოკანა მსოფლიოში საკმაოდ განვითარებული სპორტის სახეობაა, თუმცა ქართულ სპორტში ის ფეხს ახლა იკიდებს. ნიშანდობლივია, რომ ამ სპორტის სახეობის ფედერაცია საქართველოს მასშტაბით პირველად ქალაქ მარნეულში დაარსდა, 24 ნოემბერს სწორედ მარნეულმა უმასპინძლა საქართველოს ისტორიაში რიგით პირველად გამართულ ამ რანგის სპორტული სახეობის ტურნირს, სადაც შეჯიბრებას არ გამორჩნენ და მონაწილეობას იღებდნენ დედოფლისწყაროს „ზაქებიც“. ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის და ირანის გუნდები. შეჯიბრს ორგანიზება გაუკეთდა თურქეთისა და საქართველოს საიოკანას ფედერაციების ურთიერთთანამშრომლობით. შეჯიბრზე ოთხმოცამდე ფალავანი იღებდა მონაწილეობას, სადაც „ზაქებმა“ კვლავ გვასახელეს და საუკეთესო შედეგი დადეს. ოთხმოც მონაწილეში მათ ოთხი სპორტსმენი გაიყვანეს და ოთხივე გამარჯვებულმა დატოვა ტატამი. ორი პირველი და ორი მეორე ადგილი, ასეთია „ზაქების“ მონაპოვარი, რაც ამხელა მასშტაბის შეხვედრაში და ამდენ მონაწილეში, რაღა თქმა უნდა, საუკეთესო შედეგია. პირველი ადგილი დაიკავეს ძმებმა გიორგი და სანდრო ნატროშვილებმა, მეორე ადგილზე გავიდნენ გიგა ნატროშვილი და გელა ჩაფიძე. დედოფლისწყაროს და, საერთოდ, კახეთის ისტორიაში ჩაიწერება ეს დიდი მიღწევა, რამეთუ, კახეთის რეგიონიდან „ზაქებმა“ პირველმა მიიღო მონაწილეობა სპორტის ამ სახეობაში. მათი მწვრთნელია გენადი ნატროშვილი.

ვფიქრობ, რომ სპორტკლუბი „ზაქები“ დედოფლისწყაროს რაონში ზემო მაჩხაანის, მირზაანის, არბოშიკის და ოზაანის ზონაში ერთადერთი სერიოზული კლუბია, რომელიც საკმაოდ აქტიურადაა ჩართული სპორტულ ტურნირებსა თუ შეჯიბრებებზე და კარგ შედეგებსაც აღწევს. იგი სულ რამდენიმე წელია, ჩამოყალიბდა და არცერთხელ არ მომხდარა ისე, რომ მათ ჩავარდნა ჰქონოდათ და დამარცხებულები დაბრუნებულიყვნენ მშობლიურ კუთხეში, რაც უდაოდ მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. დასაფასებელია მათი მწვრთნელის გენადი ნატროშვილის შრომა და მოღვაწეობა, რადგან, რამდენადაც ვიცით, იგი ფალავნებს სავსებით უსასყიდლოდ, ფაქტიურად ენთუზიაზმზე, ცივ და უპირობო დარბაზში ავარჯიშებს. წარმოვიდგინოთ, რა შესაძლებლობებს გამოავლენდნენ „ზაქები“ მათ მცირედი ხელისშეწყობა რომ ჰქონოდეთ.

ლალი მეხრიშვილი

29-30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა შეჯიბრი MMA-ში (ბრძოლა წესების გარეშე) ევრაზიის თასზე. ტურნირში მონაწილეობდნენ სპორტსმენები უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან და ირანიდან, მათ შორის დედოფლისწყაროდანაც.

პირველი ადგილის მფლობელი გახდა გიორგი ნატროშვილი (52კგ),

მესამე ადგილზე გავიდა სანდრო ნატროშვილი(42კგ).

გუნდის მწვრთნელია გენადი ნატროშვილი.

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება



დედა ეკლესია ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებას ძველი სტილით — 21 ნოემბერს, ხოლო ახალი სტილით 4 დეკემბერს აღნიშნავს. ეს არის ათორმეტთაგანი დღესასწაული, ანუ შესულია იმ 12 დიდ დღესასწაულთა რიცხვში, რომელიც ეკლესიის მიერაა დადგენილი.

ყოვლადწმიდა მარიამის მშობლებს იოაკიმე და ანა ერქვათ. ისინი დედამიწაზე ყველაზე წმიდა ცოლ-ქმარი იყვნენ. ისე მიაღწიეს მოხუცებულობას, შვილი არ ჰყოლიათ. მხურვალედ ევედრებოდნენ ღმერთს, რომ მათთვის ბავშვი ებოძებინა, თან აღთქმა დადეს, ძე იქნებოდა თუ ასული, ღმერთს შესწირავდნენ. უფალმა შეისმინა მათი მართალი ლოცვა და წმიდა ცოლ-ქმარს ასული აჩუქა.

იოაკიმემ და ანამ ღვთისადმი მიცემული აღთქმა შეასრულეს და როცა მარიამი სამი წლის გახდა, უხმეს ნათესავებს, ახლობლებს, ყოვლადწმიდა ქალწული საუკეთესო სამოსით შემოსეს და გალობითა და სანთლებით ხელში მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში. ტაძარს თხუთმეტ საფეხურიანი კიბე ჰქონდა. წესით პატარა მარიამს უნდა გასჭირვებოდა ამ კიბეზე მარტოს ასვლა, მაგრამ როდესაც პირველ საფეხურზე დასვეს, თითქოს ფრთებშესხმულმა დაუბრკოლებლად აირბინა თხუთმეტივე საფეხური. ეკლესიაში პატარა მარიამს მღვდელმთავარი ზაქარია შეეგება, რომელმაც, ღვთის შთაგონებით, ნეტარი ასული წმიდათა წმიდაში შეიყვანა, სადაც მხოლოდ მღვდელმთავარი შედიოდა, ისიც — წელიწადში ერთხელ.

ყოვლადწმიდა მარიამი ტაძარში დამკვიდრდა. იგი გამუდმებით ლოცულობდა, გულმოდგინედ კითხულობდა წმიდა წერილებს, ხელსაქმობდა, სნეულებსა და დავრდომილებს უვლიდა, თავის წილ ულუფა საკვებს მათ აძლევდა და თვითონ ,,მოიღებდა საზრდოსა ხელთა ანგელოზისაითა.”

როცა მარიამმა სრულწლოვანებას მიაღწია, მან ქალწულების აღთქმა დადო და თავი უფალს განუკუთვნა. ასეთი რამ მანამდე უცხო იყო დედათა შორის და ღვთის მადლით, იგი მაცხოვრის დედა გახდა.

მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება ისევე, როგორც ყოველი ათორმეტთაგანი დღესასწაული, სრულყოფილი სიხარულით, თავმდაბლობითა და ღვთის შიშით უნდა აღნიშნოს. სასურველია, თუ ამ დღეს ადამიანი ისე მოემზადება, რომ ეზიაროს ქრისტეს ზიარების წმიდა საიდუმლოს.

დაბოლოს, გვინდა მივულოცოთ მთელ საქართველოს ეს დიდებული დღესასწაული და ვუსურვოთ ყველა ქრისტიანს, ჭეშმარიტად მიიყვანოს თავისი სული ტაძარში.

ქალაქ დედოფლისწყაროს პირველობა მინი ფეხბურთში

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა გოჩა ხუციშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქალაქ დედოფლისწყაროს პირველობა მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციამ: - მუნიციპალიტეტის გამგეობამ, კულტურისა და სპორტის ცენტრმა, სახანძრო-სამაშველო სამსახურმა „შ.პ.ს.-2007“-მა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის №4 სამმართველოს თანამშრომლებმა.

შეჯიბრში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველ ადგილზე გავიდა კულტურისა და სპორტის ცენტრის გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა სახანძრო-სამაშველო სამსახურის გუნდმა, ხოლო, მესამე ადგილი-მუნიციპალიტეტის გამგეობის გუნდმა.

საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ზურა პოპიაშვილი (კულტურისა და სპორტის ცენტრი), საუკეთესო გოლეადორად-ზურაბ ჩალაბაშვილი (კულტურისა და სპორტის ცენტრი), ხოლო, საუკეთესო მეკარედ - გოჩა ანთაური (კულტურისა და სპორტის ცენტრი).

შეჯიბრს მსაჯობდნენ: აკაკი ნატროშვილი, ლევან ოზბეთელაშვილი და ჯურხა ცისკარაული.

ღონისძიების ხელმძღვანელობას ახორციელებდა მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ადმინისტრაცია, საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი დიპლომებითა და გარდამავალი თასით.

"ადამიანი ნელ-ნელა ძილბურანში იძირება და კვდება" - როგორ ვიგრძნოთ გაზით მოწამვლა?

ზამთრისა და გათბობის სეზონის დადგომასთან ერთად გაზით მოწამვლის ფაქტებმა იმატა, განსაკუთრებით, თბილისში. როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი საფრთხე? - ამ საკითხზე ექიმი-ტოქსიკოლოგი, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიური სამსახურის უფროსი სოსო კუტუბიძე გვესაუბრება:

- სამწუხაროდ, მავნე აირი, ნახშირჟანგი უსუნო და უფეროა, ადამიანი აშკარა საფრთხეს ვერ გრძნობს და ამიტომაც ხდება ამდენი ტრაგედია. მნიშვნელოვანია გამათბობელი სისტემის გამართულად მუშაობა, მაგრამ არანაკლებ ყურადსაღებია სხვა ფაქტორები - ეს გაზი ადამიანის ორგანიზმში შეღწევისას უკავშირდება ჰემოგლობინს და წარმოქმნის კარბოქსილჰემოგლობინს, რომელიც უფრო მყარია, ვიდრე ჟანგბადისა და ჰემოგლობინის ნაერთი და მისი ორგანიზმიდან გამოდევნა ძალზე ძნელია, რამდენიმე დღე სჭირდება. ის თანდათან გროვდება და ორგანიზმში ჟანგბადი ვეღარ აღწევს, ჟანგბადს ვეღარ ითვისებს.

- როგორ უნდა იგრძნოს ადამიანმა, რომ იწამლება, რა სიმპტომები ახასიათებს ამ პროცესს?

- მოწამვლის სიმპტომებია: თავბრუსხვევა, კანკალი, სისუსტე, შემდეგ კი ძილიანობა. იმის გამო, რომ აირს სუნი არა აქვს, ადამიანი ვერ ხვდება დისკომფორტის მიზეზს და ჰგონია, რომ წნევა აქვს, ან ვირუსი შეხვდა, ნელ-ნელა ძილბურანში იძირება. თუ ცო-ს კონცენტრაცია მაღალია, ადამიანი მალე კვდება, თუ დაბალია, რამდენიმე საათის შემდეგ.

- რამდენად ეფექტურია ამ გაზის ინდიკატორები?

- არსებობს სხვადასხვა ინდიკატორი, რომელიც ოთახში მხუთავი აირის კონცენტრაციის აღმოჩენისთანავე განგაშის სიგნალს იძლევა.

- გაზით მოწამვლის შემთხვევებმა ხომ არ იმატა?

- ზამთრის სეზონის დადგომასთან, აცივებასთან ერთად უბედური შემთხვევები მატულობს. რამდენიმე კლინიკაში ვმუშაობ და ამ დღეებში გაზით მოწამლული არაერთი მოქალაქე შემოიყვანეს. ახლახან ჯიქიას ქუჩაზე ბუნებრივი აირით ორი ახალგაზრდა ქალი მოიწამლა. ასე რომ, მოქალაქეებმა მეტი სიფრთხილე და წინდახედულება უნდა გამოიჩინონ.

გაზეთი “ყველა სიახლე”

მონატრება

რამაზ ცქიტიშვილი



ჩვენო საყვარელო შვილო, ცრემლითა და ტანჯვით მიილია 40 დღე. შენ იყავი ჩვენი ოჯახის საძირკველი, ამომავალი მზე. მზე ჩვენთვის დაბნელებულია, სიცოცხლე გაუსაძლისი, რაც დრო გადის, უფრო გვიმძიმს ცხოვრება.

უმანკო გულით დადიოდი ამ ქვეყანაზე, სიკეთესა და სიყვარულს თესავდი ყველგან და ყველას გულებში. ჩვენო საყვარელო რამაზ, შენი სიყვარული და სახელი გვაძლევს ძალას, ვატაროთ უშენობის მძიმე ჯვარი.

თვალებში ვერ შეგვიხედია ერთმანეთისათვის, დავიწვით შენი ცოლ-შვილის ცოდვით, ლიზის ძალიან ენატრები და გელოდება, ციდან როდის ჩამოფრინდები... ირაკლი 2 წლის გახდა და სულ შენ გემსგავსება.

მხოლოდ შენი სიყვარულით ვცოცხლობთ, შენი სურათებით ვთბებით, შენი სახელით ვსუნთქავთ და შენი იმედით სიკვდილსაც ყოველგვარი შიშის გარეშე შევხვდებით.

უბედურმა დედამ ერთი თბილი ნუგეშიც ვერ გითხარი, ისე დატოვე, ჩემო შვილო, სიცოცხლე და ეს ქვეყანა. „საკუთარ ნაჭუჭში“ ჩაკეტილნი ვფიქრობთ, რამ უღალატა ჩვენი შვილის სიცოცხლეს, ვაი და ვაი უბედურ დედაშენს და მამაშენს, მხოლოდ შენი შვილები თუ გვაძლებინებენ.

სიცოცხლე გწყუროდა, ავადმყოფობას ვაჭკაცურად უმკლავდებოდი, ჩვენ არაფერს გვეუბნებოდი, მხოლოდ ირას ანდობდი შენს დარდებს, ალბათ გრძნობდი მოახლოებულ სიკვდილს და რამდენ რამეს ფიქრობდი შენს შვილებზე, ოჯახზე.

სიცოცხლე გწყუროდა და რა მოგერია, ჩვენო გოლიათო, ჩვენო ულამაზესო, ცოლ-შვილზე, მეგობრებსა და ნათესავებზე უსაზღვროდ შეყვარებულო, რამაზ!

დაგვიტოვე უდიდესი სევდა, მტანჯველი მწუხარება. ისღა დაგვრჩენია, შენს საფლავთან მოვიდეთ და დაგინთოთ სანთელი, ვილოცოთ შენი ნათელი სულისთვის.

პირობას გაძლევთ, შენს სიყვარულს შენს შვილებზე გადავიტანთ და მათ არაფერი მოაკლდებათ. ისინი სასახელო შვილები გაიზრდებიან და იამაყებენ შენით, რომ ასეთი კარგი მამა ყავდათ.

გამწარებული მშობლები: ცისალი და ბონდო,
შენი პატარა ოჯახი:
ირინა, ლიზი და ირაკლი.

ვაშლოვანის ნაკრძალში ველოტურიზმის განვითარება დაიწყო

24 ნოემბერს, დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ველო ტური მოეწყო. როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსმა რატი ჯაფარიძემ „შირაქს“ აცნობა, სააგენტომ ტური ველომოყვარულთა საინიციატივო ჯგუფის თხოვნით დაგეგმა.

ტურმა საკმაო ინტერესი გამოიწვია, რის გამოც დედოფლისწყაროს მოსალოდნელზე მეტი მოყვარული ეწვია. ისინი თბილისში, გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეიკრიბნენ და დედოფლისწყაროს მიმართულებით გამოემართნენ.

ველომოყვარულები ერთმანეთს ე.წ. „ბუღა მოედანზე“ გაეჯიბრნენ. ტურის ორგანიზატორები მსურველთა აქტიურობით კმაყოფილებას გამოხატავდნენ.

„მოგეხსენებათ, ვაშლოვანი ნახევარუდაბნოა, თუმცა იშვიათად მოხვდებით ისეთ ადგილას, სადაც კავკასიონის დათოვლილი მთების ფონზე ნახევარუდაბნოს ლანდშაფტს ათვალიერებდეთ. დღევანდელი დღის მიზანი იყო ველოტურიზმის პოპულარიზაცია. მსურველი გაცილებით მეტი გამოჩნდა, თუმცა ადგილები შეზღუდული იყო და ყველა მსურველი ვერ მოხვდა. ვაშლოვანის დაცული ტერიტორია გარდა იმისა, რომ მართლაც ძალიან ლამაზი და დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებულია თავისი ნახევარუდაბნოვანი ლანდშაფტოვანი პეიზაჟებით, ის კიდევ განსაკუთრებულია ერთი სხვა ფაქტორითაც. საქართველოს ყველა დაცული ტერიტორიიდან ვაშლოვანი გამოირჩევა იმით, რომ აქ არსებული ბილიკები არის ყველაზე მოსახერხებელი ველოტურიზმის განსავითარებლად,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ დაცული ტერიტორიების საგენტოს ხელმძღვანელმა რატი ჯაფარიძემ.

წინა ტურებისგან, განსხვავებით, ეს პროექტი თანადაფინანსებით განხორციელდა. ტრანსპორტირების ხარჯები დაცული ტერიტორიების საგენტომ დაფარა. ველომოყვარულთა საინიციატივო ჯგუფს კი მხოლოდ კვების ხარჯების უზრუნველყოფა მოუხდა.

ველორბოლის პარალელურად მოყვარულებს ნაკრძალში არსებული უნიკალური ლანდშაფტის დათვალიერების საშუალებაც ჰქონდათ, რომელიც შემოდგომაზე განსაკუთრებით ლამაზი სანახავია. სწორედ ამიტომ, წელიწადის ამ დროს მას განსაკუთრებით მეტი დამთვალიერებელი სტუმრობს. მით უფრო, რომ სხვა სეზონებისგან განსხვავებით, შემოდგომაზე ქვეწარმავლების გამოჩენის რისკი გაცილებით დაბალია.

ველოტურის მონაწილეობის მსურველთათვის აუცილებელი პირობა იყო, ჰქონოდათ საკუთარი ველოსიპედები და ასევე გრძელ დისტანციებზე გადაადგილების გამოცდილება.

ილია მარტყოფლიშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ქეთი და მამუკა მეხრიშვილებს!



ჩემო ძვირფასო ძმაო, მინდა მოგილოცო შვილის, პატარა ლიზის დაბადება, რომელმაც მამობის უდიდესი განცდა შემოიტანა შენს გულში და რომლის დაბადებამაც სრულიად სხვანაირად გაანათა და გააცისკროვნა ჩვენი მშობლიური სახლის თითოეული კუნჭული. შენს ლამაზ და ქართულ ოჯახში ამჯერად ბედნიერი დედაშვილი დააბიჯებს და ეს ამბავი ჩვენ, შენს დას, სიძეს, ძმისშვილებს, შენს მშობლებს, ყველას ძალიან გვახარებს. იმრავლოს და იდღეგრძელოს შენი და ქეთის ოჯახმა, პატარა ლიზის კი, ვუსურვებთ უდარდელ ბავშვობას და ულევ სიხარულს. სასახელო ქალბატონი გაზრდილიყოს, ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს.

შენი და ოჯახით, მშობლები: ლია და ბიჭიკო მეხრიშვილები.

თამაზ ყარაყვეზაშვილს!

დაბადების დღეს გილოცავ, თამაზ, ჩემო ძვირფასო მეუღლევ! გისურვებ ყოველივე კარგს, ბედნიერებას, სახარულს, ჩვეულ შემართებას, სულის სიმხნევეს და, რაც მთავარია, წინსვლას შენს სპორტულ საქმიანობაში. ვისურვებდი, რომ შენი შრომა ისე დაფასებულიყოს, როგორც ეს შენს ღირსეულ საქმიანობას შეჰფერის.

შენი შვილები და **მეუღლე** გალინა ყარაგვეზაშვილი

საინტერესო ფაქტები

1. ქვეყანა, რომელსაც ყველა ჩატარებულ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატში აქვს მონაწილეობა მიღებული-ბრაზილიაა.
2. ინგლისურენოვანი მოსახლეობა, ჩინეთში უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ში
3. ყველაზე მეტი საფოსტო განყოფილება, ინდოეთშია. 150 792. (შედარებისთვის, აშშ-ში სულ 38 000 ფოსტის ოფისია)
4. თვითმფრინავის ,,შავი ყუთი,, ნარინჯისფერია.
5. „მიკი მაუსის“ შემქმნელს, უოლტ დისნეის, ძალიან ეშინოდა თაგვების
6. რობინზონ კრუზომ უკაცრიელ კუნძულზე 24 წელი გაატარა.

აუქციონი

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა აცხადებს პირობით აუქციონს სკოლის შენობის 24 ფართის იჯარით გაცემაზე.

მიზანი: ბუფეტის ფუნქციონირება, ფართის წლიური ღირებულება 360 (სამას სამოცი) ლარი.

იჯარის ვადა - 2 წელი.

პირობები: ბიჯი 5 %

სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა, მიზნის შესაბამისი სქემიანობის წარმოება, იჯარით აღებული ქონების გაფრთხილება.

გადახდის ანგაშისწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში..

პირობით აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ
2. წლიური გადასახადის 10%
3. მონაწილეობის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა სახელით.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ან უცხო ქვეყნის იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

განცხადება მიიღება გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, შაბათ-კვირის გარდა. პირობითი აუქციონი ჩატარდება 30-ე კალენდარულ დღეს.

განცხადების მიღება იწარმოებს მისამართზე: სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა.

ტელ: 577 24 30 28

ტელერადიოკომპანია „ობიექტივი“ დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძიდან კომპანია „სტერეო+“-ის მეტრული სიხშირითაც მაუწყებლობდა. ამიერიდან, ოთახის ანტენიებით მაუწყებლობის ეს მიმართულება შეწყვეტილია, რადგან კომპანია „სტერეო+“-მა საკუთარი ლიცენზია საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებას“ გადასცა. პარტნიორებს შორის შეთანხმების საფუძველზე, უახლოეს ხანში „ობიექტივი“ ახალ მეტრულ სიხშირეზე იმაუწყებლებს, რომლის პარამეტრებსაც დამატებით გაცნობებთ. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ სიხშირეზე „ობიექტივის“ ნაცვლად, საპატრიარქოს ტელევიზიას აღმოაჩენთ.

„ობიექტივი“ ჩვეულ რეჟიმში მაუწყებლობას აგრძელებს. ვიდრე ოთახის ანტენების მეშვეობით დედოფლისწყაროში ჩვენი მაუწყებლობა აღდგებოდეს, მანამდე შეგიძლიათ გვიყუროთ სატელიტურ თეფშებზე, **„მაგთისატის“, „ბლექსისატის“, „თურქსატის“** საშუალებით, თუ სხვა ნებისმიერი თანამგზავრული სისტემით.

Turksat 2 A, აღმოსავლეთ გრძედის 42 გრადუსი, პოლარობა V; სიხშირე 11881 MHz, სიჩქარე 27500, ფორმატი: MPEG4

ასევე, გვიყურეთ ინტერნეტში, გადახვევის რეჟიმით საიტებზე **Myvideo.ge** და ასევე „ობიექტივის“ ოფიციალურ ვებგვერდზე **Obieqtivi.net** სადაც ნახავთ მიმდინარე გადაცემებს და ყველა გადაცემის ვიდეოჩანაწერს.

„ობიექტივს“ ნახავთ ასევე საქართველოს ნებისმიერ წერტილში მოქმედ ყველა საკაბელო ქსელში, გვიპოვით საქართველოში მოქმედი ყველა თანამგზავრული სისტემით, ასევე ბათუმის 25-ე არხით. ჩვენი ხმა თბილისსა და მის შემოგარენში ასევე ისმის რადიოტალღაზე FM 105.0-ი. ასე რომ, ჩვენ ვართ თქვენთან და სიმართლის სამსახურში!

ყოველ კვირას 17:30 წუთზე გაეცანით დედოფლისწყაროს ახალ ამბებს, იხილეთ ვიდეორეპორტაჟები და მოუსმინეთ ადგილობრივ სტუმრებს „ობიექტივის“ ეთერში თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათი“.

გადაცემის განმეორებითი ჩვენება 0:30 წუთზე

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 09.12	სამშაბათი 10.12	ოთხშაბათი 11.12	ხუთშაბათი 12.12	პარასკევი 13.12	შაბათი 14.12	კვირა 15.12
დღე	0 °	-3 °	-2 °	-1 °	0 °	2 °	-1 °
ღამე	-4 °	-5 °	-3 °	-3 °	-2 °	-2°	-4 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K